საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

ს/კ 202178927

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE
AGENCY

KA030425581689720

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/9906 **28 / აპრილი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელს, ბატონ ბექა ჯაყელს

ბატონო ბექა,

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს, შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 11 ნოემბრის N01-342/ო ბრძანების პირველი მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად, შესათანხმებლად წარმოგიდგენთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2020 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების კორექტირებულ გეგმას დანართის მიხედვით. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ გეგმის ცვლილება განპირობებულია შემდეგი გარემოებით:

ქვეყანაში და მსოფლიოში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო, უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის ფარგლებში, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიზნობრივი სოციალური დახმარების გაცემის გეგმის პრეზენტაციასთან დაკავშირებით, საჭიროა შესაბამისი ტექნიკური ინვენტარის დაქირავება - LED-ეკრანი, დინამიკები და მიკროფონი. დირექტორის აპარატის უფროსის ნიკოლოზ ჩანადირის 2020 წლის 28 აპრილის N04_3903 მოხსენებითი ბარათი).

აღნიშნულიდან გამომდინარე:

გეგმას დაემატა CPV კოდი 79900000; 79952000 (სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები); რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 70; შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა) და მისი ღირებულება განისაზღვრა 3 500 ლარით.

დანართი: სახელმწიფო შესყიდვების გეგმა - Excel-ის ფორმატის 1 (ერთი) ფაილი.

პატივისცემით,

დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

ლევან გოგოძე